პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 171 (12683)

სამშაბათი, 23 ივლისი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

აი ისინი, ჩვენი დღეების გმირები საშობლოს დოვლათს ბრიგადირ რევაზ მუსელიანსა და გვირაბგამყვან გივი ჭანთარიას.

რომ ქმნიან — ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ბრიგადირები თ. ამზიანიძე (პირველ სურათზე მარცხნივ) და ზ. ტაბატაძე; მეორე სურათზე კი — ენგურჰესის მშენებლები. სამთო ოსტატი კობა მაევსკი (მარცხნივ) ესაუბრება ფოტო ი. დავითაშვილისა და გ. კოკეიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲝᲥᲘᲒᲝᲗ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ 180 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონებში ახლა დაძაბული შრომის დღეებია. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ივლისი ძირითადად გადაწყვეტს წლიური გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ბედს. ამიტომ ივლისში დარჩენილი პერიოდი დამკვრელურ დღეებად უნდა გამოვაცხადოთ.

სახელოვან მეჩაიეთა მთელი შემოქმედებითი შრომა მომართულია იქითკენ, რომ **განამტკიცონ შარშან მოპოვებული წარმატება და წელს სამშობლოს მისცეს ას ოთხასი ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გასულ წელს მოკრეფილი ას სამოცდაათი ათასი ტონისა.** მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სეზონი შარშანდელთან შედარებით თითქმის ერთი თვის დაგვიანებით დაიწყო, რესპუბლიკის მეჩაიეებმა კარგი სტარტი აიღეს და გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

საკმარისია ითქვას, რომ „მწვანე ოქროს“, კრეფის აპრილ-ივნისის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ჩაქვი, მახარაძის, წყალტუბოს, ცხაკაიასა, ლანჩხუთის, სამტრედიის და სხვა საწარმოო სამმართველოებმა და ამჟამადაც მეტი ჩაისათვის ლაშქრობის ავანგარდში არიან ცხაკაიასა და წყალტუბოს საწარმოო სამმართველოებმა ვადამდე ადრე შეასრულეს ჩაის კრეფის ივლისის დავალება. ბევრმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა და მეჩაიემ უკვე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება და კრეფას განაგრძობს ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში.

ახლა შეიძლება სათანადო დასკვნები გავაკეთოთ განვლილი პერიოდის შედეგების მიხედვით. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 20 ივლისის ცნობებით რესპუბლიკაში სულ მოკრეფილია 117.311 ტონა ჩაის ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულებულია 72 პროცენტით, ხოლო ივლისისა — 85,2 პროცენტით. ეს ცუდი მაჩვენებელი რომაა. მაგრამ თუ ღრმად ჩავუფიქრდებით ამ ციფრებს და გავითვალისწინებთ 180.000 ტონა ჩაისათვის ბრძოლას, არც ისე სახარბიელო მდგომარეობა გვაქვს.

საქმე ის არის, რომ შარშანდელთან შედარებით წელს რესპუბლიკაში 531 ტონით ნაკლებია მოკრეფილი. ივლისში გეგმით მოსაკრეფია 35.850 ტონა, „მწვანე ოქრო“, 20 ივლისისათვის მოკრეფილი იყო 30.534 ტონა. როგორც აქედან ჩანს, გეგმის შესრულება თითქოს ეჭვს არ იწვევს. მაგრამ განა ეს არის საკმარისი?

ცხადია, არა. ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელია ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა ივლისში გეგმის გადამეტებით მოკრეფონ ათასობით ტონა ჩაის ფოთოლი. ამისათვის საჭიროა საწარმოო სამმართველოებმა, პარტიულმა კომიტეტებმა ამოავითვე განაბრძოციონონ ქმედითი ღონისძიებანი, რათა ეროველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადასა თუ ბრიგადანყოფილებაში, რგოლში ყოველდღიურად, განუწყვეტლივ, ყოველგვარ ამინდში წარმოეფდეს ჩაის ფოთლის კრეფა. ამოცანა ის არის, რომ ბაღრეფად შემოსული არც ერთი კილოგრამი ჩაის ფოთოლი არ დაკარგოთ. ამასთან ერთად აუცილებელია მეჩაიეები უზრუნველყოთ საწვიმრებით და შეეცადონ ეფექტიანად გამოიყენონ ეს საშუალებანი.

ეს ეხება ბაღების ნორმალურად მუშაობას, ყურადღება და მზრუნველობა არ მოვაკლოთ მეჩაიეობის რაიონებში დასახმარებლად ჩასულებს.

მაგრამ არის სიგნალები, რომ ზოგან ყოველივე ამას არ თვალისწინებენ. ეს კი გავლენას ახდენს ჩაის კრეფის გეგმის შესრულებაზე. ვერ ვიტყვით, რომ ივლისში ჩაის ფოთოლი არ იყოს საკრეფად შემოსული. ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია კარგია. რით გაიმარჯვებენ თავს ზოგიერთი საწარმოო სამმართველოები, რომლებიც ჩამორჩნენ?

საერთოდ აფხაზეთში ჩაის კრეფაში ცუდი მდგომარეობა არ არის, მაგრამ მეტი წარმატება იქნებოდა, **გუდაუთელი** მეჩაიეები უკეთ რომ მუშაობდნენ. მათ სეზონში გეგმით უნდა მოკრიფონ 2.900 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულებით კი — გაცილებით მეტი. 20 ივლისისათვის მოკრეფილია 1.822 ტონა. უფრო მეტიც: ივლისის ოც დღეში მოკრიფეს 480 ტონა, ივლისის გეგმა კი 638 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს.

სამშობლოს წინაშე ვალში არიან ზუგდიდელი მეჩაიეები, რომლებმაც გეგმით 33.200 ტონა „მწვანე ოქრო“ უნდა მოკრიფონ. მათ კი აპრილ-ივნისის დავალება ვერ შეასრულეს. ზუგდიდის საწარმოო სამმართველომ, პარტიულმა კომიტეტმა აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ და უზრუნველყონ ივლისში არა მარტო გეგმის, არამედ აგრეთვე ვალდებულების შესრულება. ასევე სერიოზული ღონისძიებები უნდა განახორციელონ **ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲛᲬᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲡ** საწარმოო სამმართველომ და პარტიულმა კომიტეტმა, რათა ნაკისრი ვალდებულება უთუოდ შესრულდეს.

ხასიხარულოა, რომ წელს ჩაის პლანტაციებში ასობით ჰექტარზე განხორციელდა ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა. ათობით მანქანა „საქართველო“ კრეფს ჩაის ნედლეულს ინგირის, ლაითურის საბჭოთა მეურნეობებსა და მთელ რიგ კოლმეურნეობებში. ამ მანქანებმა გაამართლეს იმედი. ქართველი მეცნიერების, კონსტრუქტორების გადაუდებელი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით გაფართოონ ამ მანქანების როგორც წარმოება, ისე წარმადობა, ეს იმის მტკიცე საწინდარი იქნება, რომ უმოკლეს დროში ფართოდ დაენერგოთ ჩაის კრეფის მექანიზაცია.

ახლა ყოველი დღე, საათი ძვირფასია ჩაის ფოთლის კრეფის დავალების შესრულებისათვის ბრძოლაში. ავამოქმედოთ მთელი ძალები, რეზერვები და დავრაზმოთ მასები ნაკისრი ვალდებულების გასალდებისათვის. ამ საქმეში დიდია ჩვენი ახალგაზრდობის როლი. მათ პირნათლად უნდა შეასრულონ დადებული პირობა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲝᲒᲝ! ივლისი სერიოზული გამოცდაა თქვენ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების საქმეში. ყველავაც ვასახელოთ ჩვენი სამშობლო ახალი საგმირო საქმეებით, მივცეთ ქვეყანას 180.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი! ეს იქნება საქმით პასუხი პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე.

ეს არის ამ ეტაპზე მეჩაიეთა ხაბრძოლო ამოცანა, სახელისა და ღირსების საქმე.

ᲣᲠᲦᲕᲔᲕᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — პოლონეთის აღორძინების მე-19 წლისთავის გამო ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა პოლონეთის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ვლადისლავ გომულკას, ალექსანდრ ზაგადსკისა და იუზეფ ცირანკევიჩს გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი, რომელშიც გულითადად ულოცავენ და ყოველივე სიკეთეს უსურვებენ.

წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებს გულწრფელად უხარიათ პოლონელი ხალხის შესანიშნავი გამარჯვებანი, რომლებიც მათ მოიპოვეს სახალხო ხელისუფლების წლებში. ორივე ხალხის წარმატებანი სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, განამტკიცებენ სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის ძალასა და ძლიერებას, და ემსახურებიან მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და პროგრესის საქმეს.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია წერილში, უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება ურღვევი ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა. საბჭოთა ხალხი და მისი კომუნისტური პარტია დიდად აფასებენ ორივე ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ასპარეზზე. სსრ კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ხელიხელჩაკიდებული მტკიცედ იბრძვიან სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის თანმიმდევრული განხორციელებისათვის, რომელიც ჩვენი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია. (საქდეს).

ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠ ᲮᲐᲚᲮᲡ

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲐ და ლ. ი. ბრეჟნევმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს გამალ აბდელ ნასერს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხსა და მთავრობას ეროვნული დღესასწაულის — რევოლუციის დღის გამო.

განვლილი წელი, ნათქვამია დეპეშაში, აღინიშნა ორი ქვეყნის ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომი განვითარებით. საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წვლილს მშვიდობის დაცვისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

დეპეშაში გამოთქმულია ღრმა რწმენა, რომ თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის კვლავაც განუხრელად განვითარდება. (საქდეს).

ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲔᲗᲘᲝᲞᲘᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲡ

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲐ და ლ. ი. ბრეჟნევმა ეთიოპიის იმპერატორს ჰაილე სელასიე I-ს მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს დაბადების დღის გამო, რომელიც აღინიშნება როგორც ეთიოპიის ეროვნული დღესასწაული.

დეპეშებში ისინი ჯანმრთელობასა და წარმატებებს უსურვებენ პრაბადან ჰაილე სელასიე I-ს, კეთილდღეობასა და მშვიდობას — ეთიოპიის ხალხს. (საკდესი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 20 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდა ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის დ. ნ. აიდიტის მეთაურობით. (საკდესი).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ თბომავალ „მაკსიმ გორკით“ გაესეირნა მოსკოვის სახელობის არხზე. გასეირნებაში მონაწილეობა მიიღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა მეთოლითურთ და დელეგაციის წევრებმა.

გასეირნებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეთოლითურთ, ლ. ი. ბრეჟნევი მეთოლითურთ, ა. ი. მიკოიანი და სხვა ოფიციალური პირნი.

ნავმისადგომზე შეკრებილი მოსკოველები ერთსულოვანი ტაშით მიესალმნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს და უნგრელ სტუმრებს.

თეთრი თბომავალი დაიძრა და თანდათანობით მოუმატა სიჩქარეს. ჯიღლგან ბერი დამსვენებელი და მობანაგეა. წყალსაცავის სივრცეებს სერავს ათობით მსუბუქმფრთიანი იახტი.

როცა თბომავალი „ლენინეს“ ნავმისადგომს მიუახლოვდა, ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, იანოშ კადარი და სეირნობის სხვა მონაწილენი ნაპირზე გადავიდნენ და დაისვენეს კოროშში.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის იანოშ კადარის მეთაურობით დაამთავრა მეგობრობის ვიზიტი საბჭოთა კავშირში. 22 ივლისს დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

სსპატიო სტუმრების გასაცილებლად კიევის ვოგზალში მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ა. კირილენკო, ა. ი. მიკოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ი. კადარმა მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

* * *

ამხანაგი იანოშ კადარი დარჩა მოსკოვში, რათა მონაწილეობა მიიღოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და მთავრობათა მეთაურების თათბირის მუშაობაში, რომელიც 24 ივლისს იხსნება. (საკდესი).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და მთავრობათა მეთაურების თათბირის შესახებ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ურთიერთდახმარების საბჭოს ბევრი ქვეყნების მოძმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების შეთანხმებათა შესაბამისად განზრახულია ამა წლის 24 ივლისს მოსკოვში მოეწყოს აღნიშნული ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნებისა და მთავრობათა მეთაურების თათბირი.

თათბირზე განიხილავენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა მუშაობა შესრულდა საბჭოს ბევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლთა 1962 წლის ივნისის თათბირის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის და როგორია ამ ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების შემდგომი ამოცანები.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ

ᲤᲔᲠᲐᲓᲘ და იშვიათი ლითონების გამოშვების გადიდების დავალებათა წარმატებით შესრულებისა და წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის ძირეული სრულყოფისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 20 ივლისს ბრძანებულებით ლენინის ორდენით დაჯილდოვა აღმოსავლეთ კაზახეთის უსტ-კამენოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის ტყვია-თუთიის კომბინატი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა და ლენინის ორდენი და ოქროს medal „ნამგალი და ჩაქუჩი“ გადასცა საწარმოს მუშაკებს: რაფინერ ფ. ალდაბერგენოვს, ყოფილ დირექტორს ა. მ. ვართანიანს და მეკათოდეს ვ. დ. დეგტიარევს.

კომბინატის 147 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი, დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და medlebiთ.

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ — ᲓᲘᲓ ᲥᲘᲛᲘᲐᲡ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამა წლის აგვისტოს პირველ ნახევარში ქალაქ ბაქოში მოაწყოს თათბირი შემდეგ საკითხზე: ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარება და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია.

თათბირი განიხილავს რესპუბლიკებისა და მთლიანად ეკონომიური რაიონის ქიმიური მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის მდგომარეობას და დასახავს მათი შემდგომი ყოველმხრივი განვითარების ღონისძიებებს.

თათბირის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი საფუძვლად დაედება ამ დარგის სახალხო-სამეურნეო გეგმის შემუშავებას ამიერკავკასიის რესპუბლიკებში 1964-1965, აგრეთვე 1966-1970 წლებისათვის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Ნ. Ა. ᲡᲚᲝᲕᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲚᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ სამოცი და შრომითი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „სოიუზდორპროექტის“ თბილისის ფილიალის მთავარი ინჟინერი ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე სლოვინსკი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲥᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲘᲠᲐᲑᲐᲫᲔ

ქ. თბილისი. 1963 წლის 20 ივლისი.

ᲡᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲒᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

1963 წლის 20 ივლისისათვის

საწარმოო სამმართველოები	გეგმა 1963 წელი	გეგმა ივლისი	შესრულება სეზონის დასაწყისიდან	გეგმის შესრულების პროცენტი წლიური	გეგმის შესრულების პროცენტი ივლისში
აფხაზეთის ასსრ	27000	5940	18801	69,6	94,5
გალის	14110	3104	9878	70,0	97,4
ოჩამჩირის	9990	2198	7101	71,1	96,1
გუდაუთის	2900	638	1822	62,8	75,2
აბჰარის ასსრ	27000	5938	20634	76,4	82,2
ჩაქვის	26820	5898	20457	76,3	82,0
ხულოს	180	40	177	98,3	110,0
მახარაძის	37605	8270	26811	71,3	68,8
ზუგდიდის	33200	7300	22937	69,1	89,2
ცხაკაიას	9680	2130	7087	73,2	96,3
ლანჩხუთის	9395	2070	6656	70,8	80,0
გეგეჭკორის	8370	1843	5466	65,3	83,8
წყალტუბოს	6300	1385	5296	84,1	105,5
სამტრედიის	3938	865	3107	78,9	112,4
ზესტაფონის	285	60	283	99,3	138,3
საჩხერის	165	35	172	104,2	111,4
მაიაკოვსკის	62	14	61	98,4	135,7
სულ	163000	35850	117811	72,0	85,2
1962 წ. 20/VII — იყო	—	—	117842	—	—
1963 წ. 15/VII — იყო	—	—	107423	—	—

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ᲐᲛᲮ. Ნ. Ა. ᲡᲚᲝᲕᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲚᲔᲚᲘᲗ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ სამოცი და შრომითი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „სოიუზდორპროექტის“ თბილისის ფილიალის მთავარი ინჟინერი ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე სლოვინსკი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲥᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲘᲠᲐᲑᲐᲫᲔ

ქ. თბილისი. 1963 წლის 20 ივლისი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა მოსკოვის შეხვედრის შესახებ

5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ 20 ივლისამდე მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხრივ — ამხანაგები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი (დელეგაციის მეთაური), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ვ. ვ. გრიშინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ვ. ანდროპოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. თ. ილიჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი პ. ა. სატიუკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ს. ვ. ჩერვონენკო;

ჩინეთის კომუნისტური პარტიის მხრივ — ამხანაგები ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი დენ სიაო-პინი (დელეგაციის მეთაური), ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი კან შენი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრობის კანდიდატი იან შან-კუნი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლიუ ნინ-ი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი უ სიუ-ციუანი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი პან ძი-ლი.

შეხვედრის მსვლელობაში მხარეებმა გააშუქეს თავიანთი შეხედულებანი და პოზიციები თანამედროვე მსოფლიო განვითარების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან პრინციპულ საკითხებში.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წინადადებით მიღწეულია შეთანხმება დროებით შეწყვიტონ დელეგაციათა მუშაობა ისე, რომ შეხვედრა განაგრძონ რამდენიმე ხნის შემდეგ. შეხვედრის განგრძობის ადგილი და დრო დამატებით იქნება შეთანხმებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის კონსულტაციის გზით.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

20 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ მოსკოვიდან პეკინს გაფრინდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციასთან ორმხრივ შეხვედრაში.

წამსვლელთა შორის იყვნენ ამხანაგები დენ სიაო-პინი — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი (დელეგაციის მეთაური), პინ ჯენი — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრობის კანდიდატი, ლიუ ნინ-ი — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უ სიუ-ციუანი — ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და მათი თანმხლები ამხანაგები.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია აეროდრომზე გააცილეს ამხანაგებმა მ. ა. სუსლოვმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრმა, ა. ვ. ანდროპოვმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ლ. თ. ილიჩოვმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, პ. ა. სატიუკოვმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ს. ვ. ჩერვონენკომ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია გაიცილეს აგრეთვე ამხ. პან ძი-ლიმ — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა და სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლებმა. (საკდესი).

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 22 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ მოსკოვიდან დაბრუნდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვები

რესპუბლიკური სამრეწველო-ეკონომიური კონფერენცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. 1961 წლის აპრილში სრულიად რუსეთის თათბირზე მრეწველობისა და მშენებლობის შესახებ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა აღნიშნა: „რაც უფრო სწრაფად იზრდება შრომის ნაყოფიერება, მით უფრო სწრაფად იზრდება სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერება, მატულობს საზოგადოებრივი დოვლათი, მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლება პარტიის, სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის ყველა შრომელის მთავარი საზრუნავია“.

სწორედ ამ საკითხს — შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების ძიებასა და გამოყენებას მიეძღვნა რესპუბლიკური სამრეწველო-ეკონომიური კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში მოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. კონფერენციაზე ძირითადი მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ბ. ა. გეგეშიძემ.

უკანასკნელ წლებში, — თქვა მომხსენებელმა, — ჩვენს ქვეყანაში კეშმარიტად რევოლუციური ღონისძიებანი განხორციელდა მრეწველობის, მშენებლობის, კომუნიკაციებისა და საქმეთა მეურნეობების წარმოების ხელმძღვანელობის გარდაქმნის საქმეში. ლენინურმა კურსმა, რომელიც ჩვენი პარტიის XX კონგრესმა დასახა, შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. საბჭოთა ეკონომიკა უმაგალითო ტემპით ვითარდება.

მომმე ხალხთა ერთიან ოჯახში საქართველოს მშრომელები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. რესპუბლიკის მრეწველობა კარგად ორთქმეს თავს შეიდწლედის დავალებებს. წარმოების ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა უკანასკნელი 4 წლის მანძილზე 8,25 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 7,75 პროცენტისა. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობის ზრდამ შეადგინა 33 პროცენტი. მთელი მატების ნახევარზე მეტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე.

გასული ოთხი წელი იმით აღინიშნება, რომ საქართველოში შეიქმნა და წარმატებით ვითარდება მრეწველობის სრულიად ახალი დარგები, როგორიცაა ქიმიური, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთა-მშენებლობის მრეწველობა. ამ პერიოდში სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა ათეულზე 470-ზე მეტი ახალი სახეობის პროდუქციის წარმება, რომლებიც აქამდე სრულიად არ მზადდებოდა.

რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 27 იანვარისათვის შეასრულა შეიდწლედის მეხუთე წლის პირველი ნახევრის დავალება. შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ეს თვალნათლივ მოწმობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი წარმატებით ხორციელდება.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა კაპიტალური მშენებლობის წარმატებანი, ილაპარაკა გამარჯვებებზე, რომლებსაც შეიდწლედის ბეჭრა დამკვრელურმა მშენებლობამ მიაღწია, იმაზე, რომ უახლოეს დროში თავის პროდუქციას გამოუშვებს რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხანა. კაპროლაქტამის წარმოება.

სასიამოვნოა და სასიხარულოა ამ წარმატებებზე ლაპარაკი. მაგრამ ჩვენი მიღწევები, — ხაზგასმით აღნიშნა ამხ. გ. ა. გეგეშიძემ, — კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, ხოლო ეკონომიკის განვითარების ტემპი კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა, უფრო სრულად რომ გამოგვყენებინა სახალხო მეურნეობის დაუშრეტელი რეზერვები, მრეწველობის ხელმძღვანელობის ახალი სისტემის უპირატესობანი. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არის ჩამორჩენილი უბნები: 96 საწარმო ზარალით მუშაობს, ყველა ქარხანა და ფაბრიკა ვერ ასრულებს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების გეგმას. ჩვენში ძალიან ბევრი სამუშაო დრო ცდება, დიდია ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის. მასალების დანაკარგები, დაბალია მოწყობილობის გამოყენების კოეფიციენტი.

სკკპ XXII ყრილობის გადწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება კომუნისტური მშენებლობის პოლიტიკისა და პრაქტიკის ძირეული საკითხია.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე საქართველოს სამრეწველო საწარმოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. 1962 წლისათვის დადგენილი გეგმა 102,4 პროცენტით შესრულდა. ეს 21,3 პროცენტით აღემატება 1957 წლის მიღწეულ დონეს, ხოლო შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასვლის გათვალისწინებით — თითქმის 33 პროცენტით.

მაგრამ ამასთან ერთად შარშან 85 საწარმომ და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 123 საწარმომ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. აქ განსაკუთრებით „მიმაჩინეს თავი“ სამთამადნო მრეწველობის ტრესტმა, ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველომ, ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ, 26 კომისრის სახელობის ქარხანამ და სხვებმა. ყოველივე ეს ძალიან ძვირად უჯდება სახელმწიფოს.

ჩვენ რაც შეიძლება უფრო კარგად, უფრო სრულად და ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ სოციალისტური ეკონომიკის შესაძლებლობანი, გამოვავლინოთ ახალ-ახალი რეზერვები, რაც ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს წარმოების განუწყვეტელ სრულყოფას სახალხო „ეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის ბაზაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე მოხსენებაში ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ხაზი გაუსვა, რომ „ტექნიკური პროგრესი ის მთავარი პოზიციაა, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეეძლებთ წარმატებით გადაწყვეტოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანები და მივაღწიოთ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას“.

ამ მიზნის მისაღწევად უნდა ვიბრძოლოთ გულმოდგინედ, დაუღალავად ახალი ტექნიკის განვითარებისათვის, მეცნიერების აყვავებისათვის და მეცნიერების ყველა მიღწევის ფართოდ დანერგვისათვის მატერიალური წარმოების ყველა დარგში.

საქართველოს მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, მეცნიერები ბეჯითად შრომობენ ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად. საწარმოებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, ლაბორატორიებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში მიმდინარეობს დიდი შემოქმედებითი მუშაობა ახალი მანქანების, მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების, ახალი ეკონომიური მასალების, წარმოების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების შექმნისა და დანერგვისათვის.

ცოტა როდი გვაქვს მიღწეული წარმოების ავტომატიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვაში. ახლა რესპუბლიკის საწარმოებში მოქმედებს 200-ზე მეტი მექანიზებული ნაკადური ხაზი, 70-მდე ავტომატური და ნახევრადავტომატური, 100-ზე მეტი კონვეიერული ხაზი. მოდერნიზებული და შეცვლილია დაახლოებით 17 ათასი ერთეული ლითონსაჭრელი, სამჭედრო-საწნეხო, ტექნოლოგიური, ენერგეტიკული და სხვა სახეობათა მოწყობილობა.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ავტომატიზებულია მილსაგლინავი დგანი „400“, რამაც გაათვისუფლა 93 კაცი. ამ ღონისძიების განხორციელებისათვის ქარხნის მუშაკთა ჯგუფს მიენიჭა ლენინური პრემიის ლაურეატის სატატიო წოდება. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად შრომითი დანახარჯი „163“ მოდელის ერთ ჩარხზე შემცირდა თითქმის 6-ჯერ.

მომხსენებელმა მოიყვანა კიდევ მთელი რიგი მაგალითები და დამოწმებულთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მიუხედავად წარმატებებისა, არ უნდა გამოვიტანოთ ისეთი დასკვნა, თითქოს ყველაფერი რიგზე გვქონდეს.

ნაკლი ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. წლითიწლობით არ სრულდება ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმა. განსაკუთრებით ცუდად არის საქმე საშენი მასალების მრეწველობის სამმართველოში, საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტსა და საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტში, სამთო მრეწველობისა და ავჯის მრეწველობის საწარმოებში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მექანიზაცია და ავტომატიზაცია აუცილებლად ხორციელდებოდეს ახალი პროგრესული ტექნოლოგიის საფუძველზე.

ცნობილია, თუ შრომის ნაყოფიერების ზრდის რა უდიდესი რეზერვია საჩარხო მოწყობილობის მუშაობის ცვლების გადიდება. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ჩვენში ცოტა რამ არის გაკეთებული. ჩვენი რესპუბლიკის მანქანათაშენებელ მრეწველობაში ცვლების კოეფიციენტი არ აღემატება 1,27. ამავე დროს მარტო სრული ორცვლიანი დანერგვა საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავზარდოთ მთლიანი პროდუქციის გამოშვება ფართობის გაფდიდგლად. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკა შესძლებს დამატებით გამოუშვას ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია წელიწადში. დაბალია მოწყობილობის დატვირთვის კოეფიციენტიც.

დიდ დანაკარგებს იწვევს ჩვენში წუნი. 1963 წელს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა ვერ შეასრულეს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა. ზშრიად ჩივიან მომხმარებელნი ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ბათუმის ელექტრომექანიკური და ელექტროხელსაწყოთა ქარხნების, თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის, „მიკოიანის“, ბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და სხვა საწარმოების პროდუქციის ცუდი ხარისხის გამო.

შარშან 27 საწარმო ზარალით მუშაობდა, რითაც საახალხო მეურნეობას დიდი ზარალი მიაყენეს.

შარშან 104 საწარმომ და მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის მანძილზე 96 საწარმომ ვერ შეასრულა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა. განსაკუთრებით ჩამორჩებიან მსუბუქი, ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის, საშენი მასალების მრეწველობის სამმართველოები. ეს ნაკლი იმ საწარმოებსაც კი აქვთ, რომლებიც გეგმას ასრულებენ.

ჩვენი ეკონომიკის განვითარების ტემპის დაჩქარება, — განაგრძო შემდეგ მომხსენებელმა, — ბევრად არის დამოკიდებული „მრეწველობის სხვადასხვა რგოლის სწორ თანამოქმედებაზე. სოციალისტური გეგმიანი მეურნეობის პირობებში ჩვენ განსაკუთრებით შემეძლებოდა შეგვიძლია გამოვიყენოთ სპეციალიზაციისა და კოოპერირების უპირატესობანი, როგორც წარმოების ორგანიზაციის ყველაზე პროგრესული ფორმები. სპეციალიზაცია ის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი რეზერვების გამოვლინებას. სპეციალიზაცია და კოოპერირება მრეწველობის ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი წერდა, რომ წარმოების სპეციალიზაცია მთელი თავისი არსებით უსასრულოა, ზუსტად ისევე როგორც ტექნიკის განვითარება.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი სპეციალიზებული ელექტრო-ტექნიკური და ხელსაწყოთასაშენებელი ქარხნები. 44 მანქანათასაშენებელი, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთასაშენებელი საწარმოდან 38 დასპეციალიზებულია რამდენიმე ძირითადი სახეობის სამრეწველო ნაწარმის გამოშვებისათვის.

1963 წლის დასაწყისისათვის განხორციელდა სხვადასხვა საწარმოებში განლაგებული სამსხმელო საამქროებისა და ღუნების გამსხვილება.

სახალხო მეურნეობის საბჭომ დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე იმისათვის, რომ მოეგვარებინა საწარმოთა საწარმოო კოოპერირება ეკონომიურად უფრო მიზანშეწონილი შიგასარაინონ და სარაიონთაშორისო ურთიერთკავშირის დამყარების გზით. ამ მოგვარების უკვე პირველ ეტაპზე მნიშვნელოვნად შემცირდა ერთმანეთს შორის არარაციონალური გადაზიდვები.

სპეციალიზაციის საკითხი თვით ცხოვრებამ წამოაყენა. ის სახსრები, რომლებიც ამ სამუშაოებზე იხარჯება, როგორც წესი, ძალიან მალე ნაზღაურდება. შესანიშნავ პერსპექტივებს გვესახავენ ამ მხრივ საწარმოო გაერთიანებანი, ეს გაერთიანებანი უკვე შეიქმნა მრეწველობის ზოგიერთ დარგში, ისინი ხელს უწყობენ წარმოების სრულყოფას, საგნობრივ და ტექნოლოგიურ სპეციალიზაციას და მაშასადამე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საშუალებას იძლევიან. ჩვენი გაერთიანებანი, როგორც იტყვიან, ახლა იდგამენ ფეხს. მაგრამ მთავარია ის, რომ არსებობს და ვითარდება სპეციალიზაციის პროგრესული, ხელსაყრელი ფორმა.

